



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეტრატი

ეტრატი (ბერძნ. tetradion - რვეული), საქონლის ტყავისაგან დამზადებული საწერი მასალა, რ-საც უძველესი დროიდან იყენებდნენ აღმოსავლეთში. ძვ. წ. II ს-იდან ე-ის წარმოებით განსაკუთრებით დანიანურდა მცირე აზიის ქ. პერგამონი, რ-ის სახელწოდებიდან არის ნაწარმოები პალეოგრაფიული ტერმინი პერგამენტი. ე. გამძლე, მოქნილი და ადვილად მოსახმარი იყო, ამიტომ პაპირუს-ჭილთან შედარებით უპირატესობა მოიპოვა და დიდად შეუწყო ხელი მნივნილობის წინსვლას. ე-ის დასამზადებლად ტყავს ალბობდნენ კირიან ან ნაცარტუტიან წყალში, შემდეგ ბალანს აცლიდნენ და გასაშრობად გადაჭიმავდნენ. გამომშრალ ტყავს დასარბილებლად ცხიმით პოხავდნენ, ზოგჯერ კვერცხის ცილითა და შაბით დამზადებულ ემულსიას უსვამდნენ, გასათეთრებლად კი - ცარცს, კირს. საქართველოში ე. უმეტესად შემოჰქონდათ და ადგილზეც ამზადებდნენ. ქართ. ხელნაწერებში ე. X ს-იდან მოიხსენიება; ტერმინი უფრო ადრე (V ს.) უნდა იყოს გეპირი გზით ბერძნულიდან შემოსული. როგორც ჩანს, ე. თავდაპირველად აღნიშნავდა ტყავის ოთხფურცლედ რვეულს, შემდეგ - საერთოდ ტყავის საწერ მასალას. აღმ. საქართველოს მთის კილოებში შემორჩენილია ტერმინები: „ატრატი“, „ატრატაი“. ე-ზეა დაწერილი უძველესი (VI-X სს.) ქართ. ხელნაწერები [ხანმეტი, ჰაემეტი ფრაგმენტები, სინური მრავალთავი (864), ადიშის ოთხთავი (897), ოშკის ბიბლია (978) და სხვ.].

ლიტ.: ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996).

კ. დანელია

